ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00026886

02/09/2026

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების დაფინანსების მიღების მიზნით ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ განცხადების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა", ,,ი" და ,,რ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში, ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების სწავლის საფასურის დაფინანსების მისაღებად ვეტერანების, მათი შვილების, მარჩენალდაკარგულებისა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მიერ განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 2 სექტემბრიდან 2026 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდით.

2. წარმოდგენილ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია დადგენილი ხარვეზი გამოასწოროს შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ელექტრონულ რესურსებზე.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი



კობა კობალაძე